



ქვეყნის

1991
სტომატოლოგია
31
0 2 5 3 0
№13 (10406)
შანის 5 კავ.

ფორმლის საფორმლოებრივ - კოლიტიკური გავითი

გავითი გავითის 1990 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიშნის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნის გამოცვლის შესახებ

იმ მიზნით, რომ ეფექტიანად განხორციელდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიშნის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნის გამოცვლა, მკისიანად იყოს გათვალისწინებული ამ პროცესში მოსახლეობის ინტერესები, გაძლიერდეს უზრო მელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა და მოხდეს ფულის მიმოქცევისა და სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაცია, აღნიშნული ფულის ნიშნის გამოცვლისას რესპუბლიკაში გატარდეს ერთიანი პოლიტიკა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 23

იანვრის დადგენილების თანახმად შექმნილი რესპუბლიკური სპეციალური სადებუტატო კომისიის წინადადებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენენ:
1. მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზიშროების კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს საგანგებო უფლებამოსილებანი იმისათვის, რომ კოორდინაცია გაუწიონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიშნის 50 და 100-მანეთიანი ფულის ნიშნის გამოცვლას და გააკონტროლონ,

სწორად სრულდება თუ არა მიმოქცევიდან ამოღების ღონისძიებანი,
2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზიშროების კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას (ო. ხატიაშვილი, გ. აბსანძე) მიენიჭოს უფლება, რომ თანამდებობიდან გადააყენონ საბანკო და საფოსტო დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი წესის

შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1961 წლის ნიშნის 50 და 100 მანეთიანი ფულის ნიშნის გამოცვლისა და მიმოქცევიდან ამოღების ღონისძიებათა გატარება.
3. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ განკარგულებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
% გამსანაშრდნი,
თბილისი. 1991 წლის 23 იანვარი

ინფორმაცია მოიჯარეთა წარმატება

დარჩელის ჩაის მეურნეობის მელორეობის ფერმის საიჯარო ბრიგადის (ბრიგადირი ა. კანტურია) წევრებმა გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება. გვეშიური 4000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 4870 კილოგრამი ხორცი. კვარტალის ბოლომდე დამატებით სახელმწიფოს ჩაბარდება 2000 კილოგრამი ხორცი.



სოფლად საიჯარო ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საქონის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში იჯარის დანერგვის საქმეში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა მოსახლეობაში უნდობლობა გამოიწვია. სოფლის მშრომელთა ნაწილმა საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლისა და კერძო საკუთრებაში მიწის, ტექნიკის, პირუტყვისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების გადაცემის მოლოდინში საერთოდ მიატოვა მუშაობა. დაიწყო როგორც მიწის, ისევე ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების თვითნებური გადაწეობა, რის გამოც მთელ რიგ რაიონებში ჩამოიშალა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. რეალური საფრთხის წინაშეა 1991 და შემდგომი წლების მისთვის ბედი!

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებს აღკვეთონ სახელმწიფო ქონების თვითნებური დანაწილება-დატაცება, განსორციელონ საჭირო ღონისძიებანი მიტაცებული ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაუყოვნებლივ დასაბრუნებლად. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგემო კომიტეტსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს მიეცათ დავალება უზრუნველყონ ადმინისტრაციულ ერთეულებზე სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთის მოცულობის დაყვანა, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყონ

შესაბამის საწარმოებთან და სხვა მწარმოებლებთან ზემოაღნიშნული პროდუქციის სახელმწიფო ჩაბარებაზე ხელშეკრულებათა დადება. გადამამალი პერიოდის ამკამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალია არსებული შინასამეურნეო ანუ სახარდო საიჯარო ურთიერთობათა შენარჩუნება და განვითარება. ამასთან, დაკავშირებით დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათმოქცობისა და მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა შესახებ“. დაწესდა, რომ დებულების პროექტი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიწის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებამდე. გადაწყდა აგრეთვე, რომ მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს განსახილველად. (საქმინფორმ)

ხალხი გვიან ქვეყნისათვის დიქტატურამ არ უხდა გაიჭაჭანოს


საბრძოლის ყურის რეგიონში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელ ცივილიზებულ სამყაროს ერთხელ კიდევ დანახვა, რომ დიქტატურას, ავანტიურის გზა პოლიტიკაში განწირულია. ერთადერთი იდენტი სადამ მუსეინი მსოფლიო ბატონობის მანიით შეპყრობილი ტირანია, რომელმაც თავისი ხალხი ვერაგულად მოატყუა და უფსკრულთან მიიყვანა. თავისი მანაკალური სიჭიქით და სატანური თვითდაჭერებულობით მან რელიზმის ყოველგვარი ნასახი გამოაყალბა თავის დიდმპყრობელურ პოლი-

ტიკას და მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობა დაიპირისპირა. იმედი მაქვს კოალიციური ძალების ბლოკირებას იგი თავს ვერ დააღწევს და სულ მალე მისი სადისტურტი, ანტიდამიანური რეჟიმი საბოლოოდ აღიგებება მიწისაგან პირისა. დედამიწაზე არანაირმა დიქტატორულმა რეჟიმმა არ უნდა გაიჭაჭანოს. გ. აბუშამა, ზედაუწერის მეურნეობის მთავარი აგრონომი.

სისხლიანი გზა დამღუპველია

ყველა უბედურება, რაც ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში ტრიალებს, ინსპირირებულია იმპერიული ძალების მიერ, ცენტრი არანაირ საშუალებებსა და ხერხებს არ თაკილობს, ოღონდ უნიტარული საბჭოთა სახელმწიფო შეინარჩუნოს, ისეთი ქვეყანა, სადაც უბადალებული, დღემდე აუხსნელი და გაუგებარი „ცენტრის“ ნება იბატონებს რესპუბლიკების ფსევდოსუვერენულ უფლებებზე. დაავიკრდეთ, რა ხდება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. გამოიგონეს ეგრეთწოდებული ინტერფრონტები, ეროვნული ხსნის კომიტეტები, რომლებიც ვითომ ხალხის ნების გამოხატვები არიან. ეს არის ცენტრის მიერ ინსპირირებული შორს გამოწვე-

ლი ავაცობა, რითაც სურთ თავისუფლების სულის ჩაკვლა მრავალნატიხ ხალხში. საქმარისია ნახო გაზეთებში გამოქვეყნებული ფოტოები და თვალნათლივ დარწმუნდეთ „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ ავტორთა გულწრფელობაში, დროა მიხედვს ცენტრი, რომ იარაღით, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით თვითონ ისმარებს თავს და კატასტროფით ამთავრებს თავის გზას. დემოკრატიისკენ მილიონების სწრაფვას აღქმისისა და პეტრუსენკოს მსგავსი სამხედრო ქორები ველარაფრით ვეღარ შეაჩერებენ. ლ. შანგელია, ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს თანამშრომელი.



იმ დღითა განსვენება

ახოვანი, წელში ოდნავ მოხრილი, დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯებით მავალი, ასეთი ახსოვთ ზუგდიდელებს ეს დახვეწილი ინტელიგენტი, ზედმიწევნით ერთდრიბული და ფართო თვალსაწიერის კაცი, რომელსაც ბავშვებზე ოდნავ ირონიული, ამას-

ხედავდნენ გულთბილ, უღალატო მოქალაქებს და ლიტერატურის ტრფიალს, რომელიც ამ მხრივ დილექტანტის დონეზე გაცილებით მაღლა იდგა. 1949 წლის 14 მაისს „პრავდა“ სახელმწიფო პრემიის ახალ ლაურეატებს გვაცნობდა.

ბის ნიმუში ვახდა. აღნიშნულ მეთოდს მწვანე გზა გაუხსნა პუსკო-ოჭერის გამოცდის შემდეგ და მნიშვნელოვნად ინტენსიური ვახდა მთელი რიგი საწარმოთა მუშაობაში. ამის შემდეგ იგი ქართული

შენსანიშნავი ინტელექტუალი

თავსაოცრად თბილი დიმილი დასთამაშებდა. მასთან სიახლოვეს ეშურებოდა უკმა ახაკის აღმაზი, რაცეთუ ფართო გახლდათ მისი ინტერესების სფერო. მას შეეძლო მიზიდველი საუბარი გაემართა ნებისმიერ თემაზე, მაგრამ პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემები, გეოგრაფიის საკითხები, შეიძლება ითქვას მისი „პოზი“ იყო. ბატონ ინდიკო კუხალაშვილს სიუჟარულით თავსაქალაქელები მოარულ ენციკლოპედიას ეძახდნენ. მას შეეძლო ხაზგასმული დოკუმენტებით განემარტა თანამშასუბრისათვის ისლანდიის არედეგების პოლიტიკური შეხედულებები, გაცხსენებინა ნაპოლეონის ხელმეორედ ტახტზე ასვლის ზუსტი თარიღი, აეხსნა სტოლიპინის აგრარული რეფორმების არსი, უკთომელი აღლოთი ჩამოეთვალა ნობელის პრემიის ლაურეატები და ა. შ. ბატონ ინდიკოსთან მეგობრობდნენ ქართული კულტურის სახელოვანი წამომადგენლები, რამეთუ მასში

მათ შორის იყო ინდიკო ამბროსის ძე კუხალაშვილის პორტრეტი წარწერით: „ინჟინერი, პრემია მიენიჭა სულფიტ-ციკლულოზის წარმოებაში ინტენსიფიკაციის მეთოდის შემუშავებასა და დანერგვაში მონაწილეობისათვის“. ერთობ საინტერესო, მდიდარი შრომითი ბიოგრაფია ჰქონდა. ენგურქალაღკომბინატში ჩამოსვლამდე გაიარა გზა ახალბედა ინჟინრიდან მსხვილი კომბინატის დირექტორამდე. ენგურის ქალაღის კომბინატის მემბრანე ვლადიმერ შონია თავის წიგნში „ენგურის ქალაღის კომბინატის ისტორია“ თავის მეგობარზე ინდიკო კუხალაშვილზე ასეთ სიტყვებს წერს: „1948 წლიდან პუსკო-ოჭერის ცელულოზისა და ქალაღის კომბინატის მთავარი ინჟინერია. სწორედ ამ საწარმოში მოხდა ინტენსიფიკაციის შესანიშნავი მეთოდის დემონსტრაცია, რომელიც მეცნიერის, ტექნიკოსისა და სტახანოველის წარმატებით ურთიერთთანამშრომლო-

ქალაღის წარმოების სამსახური იდგება და 1978 წლამდე ენგურქალაღკომბინატში ძუსაობს, ვიდრე პენსიაზე გავიდოდა. ემაყუბოდათ ზუგდიდელებს, რომ მშობლიურ ოღიშში იდგწოდა ასეთი გამოჩენილი სპეციალისტი, მაღალი რანგის ინჟინერი და ინტელიგენტი, ვისაც შეეძლო უკელგან ღირსეულად წარმოეჩინა საყვარელი ზუგდიღის სახე, ჩვენებური ზრდილობა და სიტყვის ჯავარიანობა. ...ამ ჩვენს ძირძველ ჯადრების ხეივანში ვის არ გაუვლია კოლორიტულ მოქალაქეთა შთაგონებული სახის ელვარებას და სიტყვა-ბასუბის ჯადოს თითქოს ინახვენ ეს ბევრისმომსწრე, ხანდაზმული ხეები. ერთერთი იმათაგანი, ვისაც ამ ხეების ჩეროში შესვენება და ნაცნობებთან ბასი უყვარდა, ბატონი ინდიკო კუხალაშვილი გახლდათ. ადამიანი, ვისაც მუღამ კეთილად მოიგონებენ ზუგდიდელეები. ჯ. თელია.

დაავადებათა პროფილაქტიკას - მეტი ყურადღება!

სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში დაწესებული ზომების პირობები ჯერ კიდევ არ შეესაბამება საინტარულ ნორმებს, რაც ქმნის პირობებს საერთო და პროფესიული დაავადებების განვითარებისათვის. აღნიშნულის გამო სახალხო მეურნეობაში დასაქმებული გარკვეული კონტინგენტი ექვემდებარება წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას, რაც უნდა ჩატარდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წლის პირველ ნახევარში. კონტინგენტს პერიოდული სამედიცინო შემოწმებისათვის განსაზღვრავს სანეპიდსადგური. სანეპიდსადგურის მონაცემების საფუძველზე აღმინისტრაცია ადგენს სახელობით სიას სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებისათვის, გამოსცემს ბრძანებას პერიოდული სამედიცინო შემოწმების ორგანიზებული ჩატარების მიზნით (პასუხისმგებელი პირის გამოცოფა, შემოწმების ვადების განსაზღვრა). პერიოდულ სამედიცინო

შემოწმებაზე კონტინგენტის გამოცხადებას უზრუნველყოფს დაწესებულების ხელმძღვანელი. მთელი პასუხისმგებლობა სამშროზე იმ პირთა დაშვებისათვის, რომელთაც არ გაუვლიათ წინასწარ პერიოდული სამედიცინო შემოწმება, ეკისრება აღმინისტრაციას. პერიოდული სამედიცინო შემოწმებას ჩატარების შემდეგ აღმინისტრაციამ და პროფკომიტეტმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებაში. ზუგდიღის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების პოლიკლინიკური განყოფილება სთხოვს სახალხო მეურნეობის ობიექტების ხელმძღვანელებს, გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მშრომელთა პერიოდული პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმების ორგანიზებულად და მაღალხარისხიანად ჩატარებისათვის. 3. კუბაშვილი, რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების პოლიკლინიკური განყოფილების გამგე.

მეზადვანიან სოფლისათვის სახაკუნ ამოცანებს

გასულ სამეურნეო წელს მიუხედავად ბევრი სიძნელისა ინვერის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივმა მრეწველობას მიყიდა 4000 ტონა ჩიის მწვანე ფოთოლი. კომბინატში რვა კომპლექსურ-მექანიზირებულ და ხუთი ხელით მკრეფეთა ბრიგადა. მათ გამოცდილი მწვანე პლანტაციის ოსტატები განაგებენ. ვაღაზე ადრე დაამთავრეს საშემოდგომო-სახამთრო ამუშაოები. 470 ჰექტარზე შეტანილა და ჩაეთებულია მინერალური სასუქები, ვაღაიბარი პლანტაციები. წესრიგში მოყენეს წყალსაწრეტი არხები. კომბინატის კოლექტივში არიან ჰაბუკობიდან შრომას შეთვისებული მექანიზატორები, რომლებიც უშენიშვნოდ ასრულებენ დავალებებს. სახელმწიფო პრემიის ლაურეტი კარლო ჰობალია ოცდახუთი წელია „საქართველოს“ მართავს. 161 ბრიგადის (ხელმძღვანელი სოციალისტური შრომის გმირი პოლიკო მეურნარეა) წევრებმა 50 ჰექტარიდან 600 ტონა ჩიის მწვანე

ფოთოლი ჩააბარეს ექსპერიმენტულ ჩიის ფაბრიკას. ყოველ სეზონში ხუთი მობილური მანქანა ვაღის საკრეფად და მას გამოცდილი მექანიზატორები: ზურგოგოძე, რამინ ჯანაშია, კაკო ხარჩილავე, კარლო ჰობალია და ვალიკო მეურნარეა მართავენ. ბრიგადაში საშემოდგომო-სახამთრო სამუშაოები დამთავრებულია. დაიწეს ტექნიკის შემოწმებება. შარშან, კომბინატის სახელოვან მექანიზატორს გურამ გუგუჩიას საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიულოცეს. გურამმა №3 ბრიგადაში 100 ტონამდე ნელელული დაამზადა. ახლა მექანიზატორებისათვის არა არის რა უფრო საშური, ვიდრე ტექნიკის საგაზაფხულოდ საიმედოდ გამართვა. დასამალი როღია, რომ ცუდად მარაგდებიან სათადარიგო ნაწილებით, არის რიგი დაბრკოლებებისა, რისთვისაც აქედანვე იღებენ ზომებს კომბინატის ხელმძღვანელები. ბ. ასათიანი.

ბუნებამ თუ განგების ძალამ ასე იწება: ადამიანი ერთხელ მოღის ამ ქვეყანაზე, ერთხელ იბადება. სხვა რომ არა, ამიტომაც ღირს კაცმა კაცურად განვლოს ცხოვრების გზა, უკან რჩეს კვალი ნათელი, „რომ ცოცხალი მკვდარს არ ემსგავსოს“. არა, გმირობას, რაღაც განსაკუთრებულის ჩადენას ვერ მოვხვოვთ ერთმანეთს, მაგრამ ის კი უცილოდ უვლას გვევალება, რომ ჩვენი არსებობის თავმდეები სიკეთე იყოს, ალღი გარკით შევეწოთ მამულს, საზოგადოების სატყვივარი გვტკიოდეს... როდისდა უოფილა დედა-საქართველო მორკმით მოღხენილი, მაგრამ დღეს განსაკუთრებით უჭირს. ასეთ უამს მისთვის ძვირფასია თითოეული ქართველი. და როდენ გულსატკენია, რომ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს დაზმული აქვს გონების კარი და ვითარცა მგელს-სიავისკენ გაურბის მზერა. ამა სხვანაირად როგორ უნდა შეაფასო, რა სიტყვებით ვანსაჯო იმათი საგმირო საქმენი, ვინც ქურდობა-ძარცვისათვის ახლა არხენად ჯდება განსასჯელის სკაშზე. ახლაო, ხაზგასმით იმითომ ვამბობთ, რომ საქართველოში დღესაც არ დამცხრალა მოწონების საყოველთაო აუიოტაჟი, რომელიც რესპუბლიკის უზენების საბჭოს მიერ განხორცი-

ელბულმა დიდმა მუშანურმა აქტმა- ამნისტიამ რომ გამოიწვია; ასეულობით და ათასობით პატიმარყოფილი დაუბრუნდა საზოგადოებას, ოჯახს, შვილებს... ჩვენი ადამიანური, გნებავთ მოქალაქეობრივი ვალია ყოველმხრივ დავებმართ მათ, თანაღმობით გავუფაქწოთ სისტემის მგლური კანონებით გაუხეშებული ხული. ახლა კი კონკრეტულ ფაქტზე: ადრე რამდენიმეჯერ ნასამართლევა პირებმა ელგუჯა გურამის ძე აფაქიძემ და ბონდო ბეგლარის ძე მიქვამ გასული წლის 3 აგვისტოს ჩაიღინეს სისხლის სამართლის დანაშაული. კერძოდ, იმ დღეს ძმაბიქები არყით გამოთვრნენ და ბახუსით გათამაშებულნი სოფელ ჰითაწვარის ტერიტორიაზე მდებარე „საქკომპრეწვაქრობის“ მაღაზიას ესტუმრნენ იმ განზრახვით, რომ „ცოტაოდენი სახარჯო ფული“ წაერთმიათ ნოქრისთვის. სამწუხაროდ, მაღაზიაში მართო გამყიდველი დახვდათ. მძარცველებსაც სწორედ ეს აძღვედათ ხელს. ისინი ჯიქურ მიადგნენ გამყიდველ მ. თოდუას და მოსთხოვეს ფული ოღენო-

ბის დაუსახელებლად, რაზეც კონკრეტული უარი მიიღეს. როგორ თუ ფულს არ გვაძლევო, ამომოქრდნენ ჩოქალადგები და შეშინებულ გამყიდველს ბის დაუსახელებლად, რაზეც კონკრეტული უარი მიიღეს. როგორ თუ ფულს არ გვაძლევო, ამომოქრდნენ ჩოქალადგები და შეშინებულ გამყიდველს გინება და მუქარა დაუწამეს. შემდეგ ერთ-ერთმა ბორბობოქმედმა, კერძოდ ე. აფაქიძემ ამოიღო ჯიბის საყცი დასა და გამყიდველ ქალს დახლს იქით შესდია... ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მათი ვიოაჟი, მაღაზიაში შემთხვევით ორი მოქალაქე რომ არ შემოხულიყო. მძარცველები დაფრთხნენ და ლანძღვა-გინებით დატოვეს იქაურობა. მაგრამ ავკაცობა არ შერჩათ. ახლახან ზუგდიღის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. არონიას თავმჯდომარეობით განიხილა აღნიშნული საქმე. ელგუჯა გურამის ძე აფაქიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით, ხოლო ბონდო ბეგლარის ძე მიქვამს — 3 წლით. ორივე სასჯელს მოხდის გაშლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. ...და უღვეთ წინ ძე შეცდომილთ მონანიების გრძელი გზა. ჯ. ჯაბაღარი.

ახალი მისამართები

თვალის აღვენეთ აფიშებს! განათლების მუშაკთა პროფკავშირის ქ. ზუგდიღის ბავშვთა და მოზარდთა კლუბის მოყვარულთა თოჯინების თეატრმა, რომელმაც ბინა დაიღო კოლხეთის ყოფილი ლენინის) №8-ში ორჯ მაცურებელს მორიგ პრე-

მიერად უჩვენა გ. იმერელის „ნაბოლარა“ და ს. მიხალკოვის „სამი გოქი“. თოჯინების თეატრი კვლავაც გაახარებს პატარებს ახალი სპექტაკლებით. თვალის აღვენეთ აფიშებს!

„შანა“, „შანუა“, ნიშნობის ბეჭედი

ტრადიციულად, განსაკუთრებით ამჟამად, მოდელ იქცა: ახალგაზრდების უმრავლესობა ხელის თითზე ატარებს ოქროს ბეჭედს. ნიშნობისას, ქორწილის წინ ან ქორწილის დღეს, ჯვრის წერისას, საზეიმო ვითარებაში, ოჯახსა თუ ქორწინების სასახლეში, მექორწინე მხარეები — ნიშნობის დღეა. ჩვეულებრივად, ნიშნობის დღეს, ოქროს ბეჭედს, ისე, როგორც ბევრი სხვა, მეც ამ ჩვეულებას წესის მომხრე ვარ და ამ ცერემონიაში დასწრება მოწვევითაა სისარულსა და სიამოვნებას მგვრის. ვფიქრობ, ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის ნიშნობის დაფუძნების ისტორია და რაც მთავარია, მისი დანიშნულება. ამიტომ შევეცდები პასუხი გავცე ხათაურს, მხოლოდ იმის მოზოდიშებით, რომ მომიწევს ცოტა შორიდან დაწყება.

საქართველოში საერთოდ, და კერძოდ სამეგრელოში, გავრცელებული იყო ნიშნობა — „შანა“. ეს წეს-ცერემონია ახლაც გვხვდება და მისი აუცილებელი კომპონენტია ოქროს ბეჭედი, რომელსაც ვაჟი საცოლეს მარჯვენა ხელის თითზე უკეთებს და რომელიც მორიგების წარმატებით დამთავრების ნიშან-მაუწყებელია.

წარმართული სარწმუნოების უამს, ქართველების მთავარ-მეფე-მთავრის თაყვანისცემის დროს უმთავრეს ღმერთს — მთვარის მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბილისი, 1980 წ. გვ. 50-52). მთვარის მსხვერპლად არჩეულ პირს, ყელზე ნიშანს, „შანას“ — ჯაჭვს, რგოლს შეაბამდნენ და ასე გარკვეული დრო უნდა უფილიყო. მთვარის ტაძრის მსახური ქურუმები უპირველესად ამიანიებად ითვლებოდნენ და ნატის ყმები ჰყავდათ. იმას, ვინც ტყეებში მარტოა დახეტიალობდა, ქურუმები იჭერდნენ, კისერზე ჯაჭვს — შანას დაადებდნენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად კარგად ასუქებდნენ. მთვარე ღმერთის თაყვანისცემის დღეს მსხვერპლად არჩეულ პირს ლახვარს გულში ჩასცემდნენ. ლახვარ ნაკრავი პირი (მსხვერპლი) მიწაზე რომ დაეცემოდა, დამსწრენი თითოეულად თავიანთი თავისა და სულის განსაწმენდად ფხვს დაადგამდნენ, მის სისხლს წიხვამდნენ და მათი წარმოდგენით ამით სულს განწმინდადდნენ...

შემდგომი ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ამოიკეთა და ადამიანის მაგიერ პირუტყვის სწირავდნენ ღმერთს. ამ კეთილი და სათნო ცვლილების მოთავედ ისტორიკოს ლეონტი მროველს შეეფერება მიაჩნია:

„... პირველ შეწირვად მსხვერპლად უფროსა, არამედ ცხვირისა და სროსის შეწირვა გახუწესა და ამისთვის ეწოდა მას რეგარალი“. ეს წესი დღემდე შემორჩა: სიცვალებულის სულის მოსახსენებლად, ცოდვებისაგან განსაწმენდად, ორმოცსა და წლისთავე, პირუტყვი იკვლება მსხვერპლად ადასიას სქესის მიხედვით.

„შემოთ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დავსკვნათ: „შანა“ — ჯაჭვი, ნიშანია მსხვერპლად, ზვარაკად განწირულის ამოხაცნობად, ხოლო „შანუა“ — პროცესი.

„შანა“ — ნიშნობის დროს, როგორც აღინიშნა, აუცილებელი კომპონენტია ბეჭედი. მაგრამ ამასთან ერთად ვაჟს შეეძლო საცოლესთვის ეჩუქებინა საუური, სამაჭური, ყელსაბამი და სხვა ძვირფასი სასაკაული.

ამბობენ, ნიშნობის ბეჭედი პირველი რგოლია იმ ჯაჭვისა, განუყოფლობისა, რომლითაც ცოლ-ქმარი სიკვდილამდე ერთად არიან შეკრული.

ანტიკურ პერიოდში რომელი მონათმფლობელები მონებს მონური საუკელების ნაცვლად, რომელსაც ძველ საბერძნეთში იყენებდნენ, აბამდნენ სანიშნოდ პატრონის სახელწარწერილ ბეჭედს, რომელსაც მონა ფხვზე

ან ხელზე ატარებდა. ამასთან კერძოაფანისმცემლობის დროს ქორწინებისას საცოლეს თითებზე უკეთებდნენ ქმრის სახელიან ბეჭედს ნიშნად უსაზღვრო უფლებებისა, რაც ცოლისადმი ქმრის ჰქონდა.

ძველი გერმანელები საცოლესთვის ბეჭედს მიცემით აღნიშნავდნენ მორიგების წარმატებით დამთავრებას — ცოლის ყიდვას.

ქრისტეანულმა სარწმუნოებამ თითქმის ყველგან ეს ჩვეულება გადაიღო და განამტკიცა, როგორც ქმრისადმი ცოლის მორჩილების ნიშანი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნიშნობისათვის სარგებლობდნენ ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭედებით და სათითურებით.

ძველ რუსეთში ნიშნობის ბეჭედი საქმროსი რკინისა იყო, ხოლო ნაცოლესი — ოქროსი. რკინა „ქმრის ძაღის“ სიმბოლოა, ხოლო ოქრო — ცოლის სინაზის და უმწიკვლობისა.

ამრიგად, შანა, შანუა, ნიშნობის ბეჭედი, მარად სახსოვარი, მარადუამს დაუვიწყარი, უმწიკვლო და ძვირფასი ტრადიციაა. ნიშნობის ბეჭედი ოქროსი იქნება თუ სხვა ძვირფასი ლითონისა, ის მაინც მეუღლეობა ერთგულების, მისწრაფებების ერთიანობის, სიმართლის, განუყოფლობის სიმბოლოა — ნიშანია. მაგრამ თუ სიყვარული არ არის, ვერავითარი ბეჭედი ვერ შეცვლის მას.

ჯანიერ რობაზა.

წიგლები ხშირად, ტასო, ლირა, კინტუმა, თამუში, ტატანი, შალვა, შვილ იგილები გენალი, შალიანი, ლუარა, ნუხუ, რინოსი, ჩიტო, ვასტანგი, რომანი, მზისა, მთვარისა, კობა, მარინა, ნინო, ლამა, რამაზი, გაიოზი, სოსო, სულთანო, ფატიმა, ელისო, დები: ძაბული, ნორა ფიფიები, მძის-შვილები: ნოდარი, ლამარა, ნანი, დათო, კოტე, ლუსია ფიფიები, დისშვილები: მერაბი, იზო კუტალიები, ზური, ნონა მელიავები. რძლები: ჩუხა, ნათელა, ვარდიშა, ლიანა, ლუსია, ნატო, სიმეტი, საშა მელიავე, იგნაშა ზარანდა, გურამი კაციკა, დათო ჯალალონა, ნოდარი რატია, რაული ნარმანია, ბესიკი თოდუა, ელივერი ჯომიდავა, ვალერი ბენია, ენვერ ზარქუა, მულები: ხობო, ტამტა, მარლმევილები იუწყებიან

საშა მათეს ასულ ფიფია-ფირცხალავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1,2 თებერვალს, დაკრძალვა 3 თებერვალს ს. იხსიპარში.

რადიონ სამუშაო ოჯახით იუწყება გვი ქვათას ძე ქარდავას გარდაცვალებას.

შვილი ნანი დოჩია, სიმე გურამი ნაჭყებია, შვილიშვილები: ინგა, ზვიადი, მზანლები ძემა, რაქდენი შვილებით კანდიტი, ჯონი, სოსო ნაჭყებიები, რძალი აზა, გურიელი იუწყებიან

ლინა (ცოცო) არსენას ასულ არანია-დოჩიას

გარდაცვალებას.

ზუგდიდის კავშირგაბმულობის მეშველედ საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის თანამშრომლები თანაგრძობას უცხადებენ რეზო გაბედავას. მძის

ლეონიდ (მეფანი) ავთანდილის ძე გაბედავას

გარდაცვალების გამო.

სადსაოე ქლია საზამთრო არდადეგოზე ზუგდიდის „ოლი-სიბ“ კაფეში ფესიურთელეთი (დაადასულები 1910-1917 წლები) სიყვარული იყვებო ლუგასის ოლქის ქალაქ კოპუასარსკის, სადაც გაიმართა საკავშირო ტურსითი მინი-ფესიურთეთი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქალაქების კომუნარსკის, ლუგასის, დონეცის, სტახანოვის, ლისინსკაიას, ენკიცილის და ზუგდიდის „ოლიშის“ ქაბუკი ფესიურთელეთი.

ზუგდიდელმა ფესიურთელეთმა შესანიშნავად ჩაატარეს მთელი ტურსითი, გაიმარჯვეს შვიდ შეხვედრაში და ერთიც ფრედ დამთავრეს — ბურთების საუკეთესო შეფარდებით 2:1 და ტურსითის საბათიო თასი ზუგდიდში ჩამოიტანეს. (გუნდის მწკრთნელები არიან თ. როგავა და ო. გვიჩიანი). არ შეგვიძლია მადლობის სიტყვებით არ მოვიხსენიოთ ზუგდიდის ავტოკოლონა 25:2-ის (დირექტორი გ. გაბი-სონია) კოლექტივის უდიდესი წვლილი ამ ქაბუკების წარმატებაში, ისინი ფესიურთელთა და-ოსტატებას დიდად უწყობენ ხელს, როგორც მორალურად ისე მატერიალურად. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მათი თანადგომა მივლინებების, სხვადასხვა ტურსითების დროს, ასევე უზრუნველყოფენ ფესიურთელებს სპორტული ფორმებით, ინვენტარებით, საშხაპებით, გასახდლებით და ა. შ.

ავტოკოლონის კოლექტივმა და პირადად ბატონმა გ. გაბი-სონიამ ისეთ საშვილოშვილო საქმეს მოჰკიდეს ხელი, როგორცაა ბავშვთა ფესიურთის პოპულარიზაცია და განვითარება. ზუგდიდელ ქაბუკთა ამ წარმატებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო პირველი საშუალო სკოლის დირექტორი (დირექტორი ლ. ციმიხია) რომელმაც ზამთრის პერიოდში მთლიანად დაუთმო ფესიურთელებს თავისი სასკოლო სპორტული დარბაზი.

ჯ. გომიბი,

ზუგდიდის „ოლიშის“ კლუბის გუნდის უფროსი.

მომხმარებელი რომ კვათახილი ღარჩას გაერთიანება „ორიონი“ გვითავაზობს

დიდი წარმატებით მიმდინარეობს შეკვეთების მიღება კომპლექსურ გამოცემებზე (კ. სტაინბეკის „საქვეყნოდ განმარტებული რომანი „მრისხანების მტე-ვნი“, დღევანდელ საპირბოროტო მდგომარეობაზე შექმნილი მწვავე უბედობის ცხრილი წერილების კრებული — „ვის უხმობს ზარი“; რუსულად ფეტვიაშვილის მიერ ფერადი და არაფერადი ნახატებით მდიდრულად ილუსტრირებული რჩეული ქართული ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების კრებული „იყო და არა იყო რა“; „უნივერსალური საოჯახო წიგნი“; რომელიც მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის სუფრის დამამუშენებელი საკმელების მომზადების ძველებურსა და თანამედროვე რჩეულ რეცეპტებს, მსოფლიოს ხალხთა საკმელების მომზადების ორიათასამდე რჩეულ რეცეპტს, მეცნიერულად დასაბუთებული კვების საფუძველზე სიცოცხლის გახანგრძლივების წესებს და სხვა; ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო“; გინების „მსოფლიო საოცრებანი“; ილუსტრირებული მსოფლიოს ხალხთა ანეკდოტები“; ა. გელო-ვანის „მარად ცოცხალი ხელოვნება“; ილუსტრირებული ბიბლია და სხვა). უფრო ვრცლად იხ. „მამული“ №8, გვ. 10; „ლაპარაკობს და უჩვე-

ნებს თბილისი“ №21, გ. 7. მაგრამ, ყოველივე ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მსურველები რეკავენ, მოდის წერილებიც, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოითხოვენ ამ მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შეკვეთების თანაბრად განაწილებას არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რაიონების მცხოვრებლებზეც. მოთხოვნა სამართლიანია. და მინც, როგორც პრესა შენიშნავს, შემოთავაზებული წიგნების ტირაჟი რამდენიც გნებავთ იყოს, ყველას ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, იგი ყველგან უნდა განაწილდეს. ამიტომ ადგილობრივმა ორგანოებმა (კულტურის განყოფილებმა, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებებმა თუ კერძო ენთუზიასტებმა) დაბეჭდვით უნდა მოსთხოვონ შეკვეთების მიმღებებს (თბილისი, ტელეფონი: 98-23-47; 87-23-29) თავიანთი მსურველების დაკმაყოფილება. მათ, მსურველებს, შეკვეთების მიმღებებიც თანადო ყურადღებით უნდა მოეპყრან. თითოეული კომპლექსური ხელმოწერის ღირებულება 20 მანეთია.

რადიონ სამუშაო ოჯახით იუწყება გვი ქვათას ძე ქარდავას გარდაცვალებას.

შვილი ნანი დოჩია, სიმე გურამი ნაჭყებია, შვილიშვილები: ინგა, ზვიადი, მზანლები ძემა, რაქდენი შვილებით კანდიტი, ჯონი, სოსო ნაჭყებიები, რძალი აზა, გურიელი იუწყებიან

ლინა (ცოცო) არსენას ასულ არანია-დოჩიას

გარდაცვალებას.

ზუგდიდის კავშირგაბმულობის მეშველედ საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის თანამშრომლები თანაგრძობას უცხადებენ რეზო გაბედავას. მძის

ლეონიდ (მეფანი) ავთანდილის ძე გაბედავას

გარდაცვალების გამო.

გინვავთი სამოგზაურო!

თანამად ტურისმისა და ექსკურსიების საქ. რესპუბლიკური საბჭოს კოლეგიის დადგენილებისა, ზუგდიდის საქსკურსიო ბიუროს გამოეყო 30 ცალი ტურისტული საგზური ტურისტულ მატარებელზე მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან 25 თებერვლამდე, მარშრუტით: ქუთაისი — სარკოვი — სმოლენსკი — მინსკი — ვილნიუსი — რიბა — ტალინი — ლინინგრადი — ქუთაისი. საგზურების შექმნა შეგიძლიათ როგორც ვადარცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. ზუგდიდის საქსკურსიო სამოგზაურო ბიუროს მისამართით: ქ. ზუგდიდი, ლენინის ქ. №11, ტელ: 2-46-48, 2-64-23.

ბინსოცხანის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძობენ ქეთინო გაბისონის ღვინის

ციფული ძაკუს ასულ გაბისონია-ლაგვილავას გარდაცვალების გამო.

გრიგოლის კოლმეურნობის გამგეობა, სასოფლო საბჭოს აღმასკომი და შრომითი კოლექტივი თანაგრძობენ ჯემალ ხაბურზანის ღვინის

ქსენია ზაქროს ასულ ზარანდა-ხაბურზანის გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
აბ. პანტური

შვილები: ლილა, ჯანიერ, როინი კვარაცხელიები. შვილიშვილები: ინგა, ლანა, ანა, გოგიტა, ლადო, რაული, რძლები: მარგო ბულია, მარგო, ლიანა, მარინა კვარაცხელიები. მძისშვილები: ლამარა, გონელი, ვალტერი. რინელი ბულიები. ბიძაშვილები: ანეცა, გრაფი, ნადია ბულიები, ტატიანა ლუკავა, დურუ ხუფენია, მარლი ლულუნი კვარაცხელია; მარლიშვილები: ვალი, ლამარა, მიშკო, რეზო, ჯუმბერი, მურმანი, ჯემალი, დენვარი კვარაცხელიები, გოგოლა. მერი. ნოდარი, გურამი არნანიები. ინეზა. გვი. კაკო ლოგუები, კოქიკო დოდი ნაყოფები, ასლო ნათესავები იუწყებიან

ლილი (მარო) ანდრის ასულ ბულია-კვარაცხელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 თებერვალს ს. დარჩელში.